პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

№ 175 (4425)

1971 წ. 1 სექტემბერი, ოთხშაბათი.

ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

სურათებზე: მსოფლიო ჩემპიონები ლ. თედიაშვილი (მარცხნივ) და შ. ლომიძე.

შ. ზარგარიანის ფოტო.

გოლიათები მტკვრის სანაპიროდან



სოფია, 30 აგვისტო. მხოლოდ სამმა ათლეტმა შეინარჩუნა თავისუფალ ჭიდაობაში მსოფლიო ჩემპიონის ტიტული. ესენი არიან: ირანელი ჯავადი, იაპონელი იანასიდა და მინსკელი ა. მედვედი — მსოფლიო ჩემპიონატების აბსოლუტური რეკორდსმენი (იგი მეშვიდედ დაეუფლა ამ უმაღლეს ტიტულს).

საბჭოთა მოჭიდავეების უპირატესობა იმდენად აშკარა იყო, რომ გუნდური პრიზისთვის ბრძოლაში მას ვერც ერთმა ქვეყანამ ვერ გაუწია ჯეროვანი წინააღმდეგობა. 42,5 ქულა, როცა ჩემპიონატის მეორე პრიზიორს 31 ქულა აქვს, იმის საბუთია, რომ გამარჯვებულ კოლექტივს მართლაც არ ჰყავდა ღირსეული მეტოქე. საბჭოთა მოჭიდავეებმა ზედიზედ მესამედ დაისაკუთრეს მთავარი გუნდური ჯილდო. მომდევნო ადგილებზე არიან: ბულგარეთი — 31, ირანი — 30, იაპონია — 20, მონღოლეთი — 19,5, აშშ —19.

რამდენიმე სიტყვა ჩემპიონებზე.

უმჩატესი წონა (48 კგ). როგორც უკვე აღვნიშნეთ, ირანელმა ჯავადიმ შეინარჩუნა ჩემპიონის ტიტული. პირველი ოქრო ამ ნიჭიერმა ათლეტმა 1969 წელს მიიღო მარ-დელ-პლატაში, შარშან ედმონტონში გაიმეორა ეს წარმატება, წლეულს კი თავისი მაღალი ოსტატობის საფასურად ოქროს მესამე მედალი მიიღო. ჯავადიმ ბოლოს და ბოლოს დაამხო იაპონელ მოჭიდავეთა ჰეგემონია ყველაზე პატარა წონით კატეგორიაში.

მჩატე (52 კგ). ირანელი ათლეტის გორბანის ვარსკვლავი საჭიდაო ცის კაბადონზე პირველად შარშან ამობრწყინდა: გამოცდილ ბულგარელ ბაევთან და მსოფლიოს ჩემპიონ რიზასთან (თურქეთი) ორთაბრძოლებში მან III საპრიზო ადგილები დაისაკუთრა. წლეულს კი ირანელი დედამიწის უძლიერეს მოჭიდავეებს ჩაუდგა სათავეში.

ქვემსუბუქი (57 კგ). ამ წონაში ბოლო წლების უცვლელი ფავორიტები იაპონელები არიან. ჯერ იყო და მსოფლიოს საჭიდაო სარბიელზე გრგვინავდა ტანაკის სახელი. ედმონტონში სახელოვანი თანამემამულის ადგილი მეორე არანაკლებ ნიჭიერმა ათლეტმა იანასიდამ დაიკავა. და აი, წლეულს მან დაამტკიცა, რომ შემთხვევით არ ატარებდა უმაღლეს წოდებას.

მსუბუქი (62 კგ). 1969 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მესამე პრიზიორმა ზ. აბდულბეკოვმა უძლიერესის ტიტული პირველად მოიპოვა. შარშან საბჭოთა ათლეტები სუსტად გამოვიდნენ დაბალ წონით კატეგორიებში. ამ წონაში მათ არც ედმონტონში ჰყავდათ პრიზიორი. ამიტომაც აბდულბეკოვის წარმატება ორმაგად სასიხარულოა.

პირველი ქვესაშუალო (68 კგ). როგორც იქნა, დაემხო ამ წონით კატეგორიაში ირანელი ფალავნის მოვახედის ბატონობა: ჩემპიონის ტიტული დაისაკუთრა ამერიკელმა გეიბლმა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ შეერთებულ შტატებს შარშანაც ჰყავდა პრიზიორი ამ წონაში, ოღონდ ეს იყო დუგლასი, რომელმაც ნაკრებში ამჯერად ადგილი დაუთმო უფრო ახალგაზრდა თანამემამულეს.

მეორე ქვესაშუალო (74 კგ). მსოფლიოს ექს-ჩემპიონის, ცნობილი ქართველი ფალავნის ზ. ბერიაშვილის პირდაპირი მემკვიდრე ი. გუსოვი არც ისე ახალგაზრდაა და გამოუცდელი დიდ სპორტში, მაგრამ ასეთი წარმატებისთვის არასდროს მიუღწევია: იგი პირველად გახდა მსოფლიო ჩემპიონი.

პირველი საშუალო (82 კგ). ლ. თედიაშვილის თავბრუდამხვევი კარიერა სულ ორიოდე წელია დაიწყო. ნიჭიერი ათლეტის წინაშე იმთავითვე ძნელი პრობლემები დაისვა: მას ჯერ სსრ კავშირის ნაკრებში ადგილისთვის უნდა ეზრუნა, მერე კი საერთაშორისო სარბიელზე ეფიქრა. ჩანაფიქრის სირთულე ძირითადად იმაში გამოიხატებოდა, რომ ლევანს ნაკრებში ისეთი სახელმოხვეჭილი მეტოქე ჰყავდა, როგორიც ი. შახმურადოვია — სსრ კავშირის, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონი. მაგრამ ახალგაზრდობას, ნიჭსა და მონდომებას მუდამ თავისი გააქვს: თედიაშვილმა ჯერ სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადაში დაამტკიცა, რომ დღეისთვის ტოლი არა ჰყავს: ლამაზად და დამაჯერებლად მოუგო შახმურადოვს. ახლა კი სოფიაში განამტკიცა გულშემატკივართა რწმენა და იმედები. მსოფლიო ჩემპიონის ტიტული ლევანმა ბრწყინვალედ მოიგო და, როგორც სპეციალისტები ამბობენ, დიდი ხნით დაისადგურა საჭიდაო ოლიმპზე.

მეორე საშუალო (90 კგ). ჩემპიონატის პირველი და მთავარი სენსაცია ალბათ ბულგარელი რ. პეტროვის გამარჯვება გახლდათ. მართალია, მას არც გამოცდილება აკლია და არც ოსტატობა, მაგრამ ოქროს მედალს ამ წონაში უფრო ნაღდი პრეტენდენტები ჰყავდა. თუმცა, ერთმა მათგანმა — შარშანდელმა ოქროს მედალოსანმა, მოსკოველმა გ. სტრახოვმა სოფიაში მუხლი დაიშავა და ექიმების მოთხოვნით ტურნირს გამოეთიშა. სხვებმაც სხვადასხვა მიზეზით წაიბორძიკეს და... ერთი სიტყვით, პეტროვი ბულგარეთის გუნდში პირველი და ერთადერთი მსოფლიო ჩემპიონია.

ქვემძიმე (100 კგ). ზოგჯერ შეცდომა მწვრთნელებსაც მოსდით. რას იზამ, ისინიც ადამიანები არიან. ნაკრებში მსოფლიოს ექს-ჩემპიონის შ. ლომიძის შეყვანის საკითხი დიდხანს სათუო იყო. რა მოსაზრებით ხელმძღვანელობდნენ მწვრთნელები, როცა მეორე ექს-ჩემპიონ გ. გულიუტკინს აძლევდნენ უპირატესობას, ეს ჩვენ არ ვიცით, მაგრამ ყველას კარგად ახსოვს ამ ორი ფავორიტის ამასწინანდელი, უაღრესად პრინციპული სასპარტაკიადო დავა, სადაც ქართველმა ფალავანმა იმედის ყოველგვარი ნიშანწყალი გადაუწურა გულიუტკინს. ლომიძე შერჩევით ტურნირებშიც ყოველნაირად სჯაბნიდა მეტოქეს და, ცხადია, აშკარა უფლება ჰქონდა დაეკავებინა ადგილი ნაკრებში. ჰქონდა უფლება და დაიკავა კიდეც! მას ბადალი არც სოფიაში გამოუჩნდა. თავისი ახალგაზრდული ხასიათით (შოთა კი არც ისე ახალგაზრდაა), რაინდული ქცევითა და ვაჟკაცური შემართებით ლომიძე ბულგარელ გულშემატკივართა ნამდვილი კერპი გახდა და გაამართლა კიდეც მათი ნდობა. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს შ. ლომიძეს ჯერ კიდევ არ უთქვამს ბოლო სიტყვა — იგი იმედის თვალით გაჰყურებს მიუნხენის ოლიმპიადასაც.

მძიმე (100 კგ-ს ზევით). მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონმა ა. მედვედმა მეშვიდე ოქრო მიიღო. მან, ფაქტიურად, უკვდავყო თავისი სახელი მსოფლიო ჭიდაობის ისტორიაში.

• • •

ცენტრალური პრესა ხოტბას ასხამს ქართველ ფალავანთა ოსტატობას. აი, რას წერს 31 აგვისტოს „პრავდა“:

„კვლავ ბრწყინვალედ გამოდიან ქვემძიმე წონაში შ. ლომიძე და ლ. თედიაშვილი (82 კგ). მათ ჯერ ჯრა აქვთ არც ერთი საჯარიმო ქულა. მომთხოვნი მაყურებლის სათაყვანებელმა ლომიძემ 2 წუთსა და 16 წამში ბეჭებზე დასცა მორიგი მეტოქე — ა. ხეზერი და ტაშის გრიალში დატოვა სარბიელი“.

დაახლოებით იგივე აზრია გადმოცემული გაზეთ „ტრუდის“ ინფორმაციაში — „გოლიათი მტკვრის ნაპირებიდან“:

„ყველაზე ეფექტური გამარჯვება თბილისელმა შ. ლომიძემ მოიპოვა. მან აიტაცა 100-კილოგრამიანი რუმინელი პანაიდი და მერე ფრთხილად დააწვინა იგი ბეჭებზე. ლამაზი გამარჯვება 1 წუთსა და 34 წამში! შემდეგ ლომიძემ, რომელიც მომთხოვნი მაყურებლის დიდი სიყვარულით სარგებლობს, 2 წუთსა და 16 წამში ბეჭებზე დასცა მორიგი მეტოქე — ა. ხეზერი გფრ-იდან.“

კიდევ უფრო დაწვრილებით აღწერს ლომიძის ჭიდილს გაზეთი „კომსომოლსკაია პრავდა“:

„კიდევ ერთი ბრძოლა... სარბიელზეა სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი, მსოფლიოს ექს-ჩემპიონი შოთა ლომიძე. მისი მეტოქეა რუმინელი ქვემძიმეწონოსანი ენაკე პანაიდი. მოჭიდავეები ფრთხილობენ. მაგრამ აი, ელვასავით სწრაფი ილეთი და ლომიძემ ხალიჩას მოსწყვიტა მეტოქე.

მძიმე, 100-კილოგრამიანი ტვირთით ჩვენი ათლეტი დინჯად მიუახლოვდა სარბიელის ცენტრს, მოხერხებულად მოიგდო ხელთ მეტოქე, რამდენიმეჯერ ისე შეათამაშა, როგორც გამოცდილი მტვირთავი შეიგდებს ხოლმე მხარზე ფუთას, და მშვიდად დააწვინა იგი ბეჭებზე. ამ რაინდულმა საქციელმა — ხომ შეეძლო ლომიძეს მეტოქე ხალიჩაზე დაენარცხებინა — საერთო მოწონება დაიმსახურა. ტაშით გააცილეს მაყურებლებმა გასახდელისკენ მიმავალი ლომიძე“.



● **ტალინი, 30 აგვისტო.** საგზატკეცილო წრიულ საავტომობილო რბოლაში აქ დამთავრებულ საკავშირო ჩემპიონატში ესტონეთის სპორტსმენებმა 6 მედალი მოიგეს. ქვეყნის ჩემპიონები 3 ეტაპის ჯამში გამოვლინდნენ (პირველი ეტაპი გაიმართა მინსკში, მეორე — რიგაში). კვირას ასპარეზობა უაღრესად რთულ პირობებში ჩატარდა: კოკისპირულმა წვიმამ 2 საათით სტარტიც კი შეაფერხა. გუნდურ ჩათვლაში პრიზიორთა სამეული ასე გამოიყურება: ესტონეთი, რსფსრ, მოსკოვი.

● **მოსკოვი, 30 აგვისტო.** მოსკოვის ოლქის წარმომადგენელმა, 22 წლის მძლეოსანმა ს. ბუდალოვმა, რომელსაც სახელგანთქმული მწვრთნელი ვ. დიაჩკოვი ავარჯიშებს, 220 სმ სიმაღლეზე გადებული თამასა გადალახა. ეს რსფსრ-ს რეკორდია, რომელსაც ბუდალოვმა ვ. ი. ლენინის სახელობის სტადიონზე მიაღწია სსრ კავშირის თასის — „იზვესტიის“ თასის გათამაშებისას. ბუდალოვი მეექვსე მხტომელია საბჭოთა მძლეოსნობის ისტორიაში, ვინც 220 სმ დაძლია.

[illegible]

პოზნანი, 30 აგვისტო. ხუთი სოციალისტური ქვეყნის ავტომოდელისტთა გუნდების შეჯიბრებაში ყველას აჯობეს საბჭოთა სპორტსმენებმა. მოსკოვის ოლქის წარმომადგენელმა ე. ჩერნიკოვმა მსოფლიო რეკორდი დაამყარა: მისმა ავტომოდელმა (მოცულობა — 1,5 კბ სმ) საათში 184 კმ სიჩქარე განავითარა.

სტოკჰოლმი, 30 აგვისტო. ევროპის მოცურავე ვაჟთა თასის გათამაშებაში ფარდის დაშვების წინ ჰ. ფასნაქტმა (გფრ) 200 მეტრზე ბატერფლაის სტილით ევროპის რეკორდი დაამყარა — 2.04,5. ეს მისსავე ძველ მიღწევაზე 1,6 წამით უკეთესია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი წარმატებები — ახალ სასწავლო წელს!

პატივი ეცით თქვენს პროფესიას!

დღეს მერხებს მიუსხდება ჩვენი რესპუბლიკის მოსწავლეთა თითქმის ნახევარმილიონიანი არმია, ბევრი მათგანი კი ხვალიდანვე შეუდგება სწავლას „სპორტულ უნივერსიტეტებში“. მაგრამ საკითხავია, მზად არიან თუ არა ეს „უნივერსიტეტები“ საამისოდ?

სიღნაღში მე ვიცნობ ვ. ყაჯრიშვილს, რომელიც მეექვსე წელია იქაურ სკოლაში მუშაობს ფიზკულტურის მასწავლებლად და ამდენივე წელია ეს სკოლა იმარჯვებს რაიონულ სპარტაკიადებში. რაშია ამ ენერგიული მუშაკის საქმიანობის საიდუმლოება?

ჩემი აზრით, მის ჭაბუკურ ენერგიასა და ფიზიკური კულტურისადმი სიყვარულში. არა მარტო მოსწავლეები, თავისი ქალიშვილი მარინეც თამამად შეიყვანა მან სპორტის ქვეყანაში (მარინე პირველთანრიგოსანი ფრენბურთელია). სკოლაში რეგულარულად მუშაობს 8 სექცია, იგრძნობა მშობელთა აქტიური მხარდაჭერა. ვ. ყაჯრიშვილმა სკოლის დირექტორი ი. შოშიაშვილიც დააინტერესა და ასეთი მხარდაჭერით, ცნობილია, ბევრს მიაღწევ.

მაგრამ სკოლების ფიზკულტურული მასწავლებლებიდან განა ბევრს აქვს უნარი ასე დააინტერესოს თავისი ხელმძღვანელობა? სამწუხაროდ, არა.

ბორჯომის რუსული საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელს ა. ნახაპეტიანს სისტემატურად აფრთხილებენ უქნარობისთვის, იგი კი ამას აინუნშიც არ აგდებს. სკოლაში სრულიად ჩაშლილია მასობრივ-გამაჯანსაღებელი მუშაობა, არ ჩატარებულა სპარტაკიადები. ქაღალდზე არსებული 360 ფიზკულტურელიდან, ნამდვილად ნახევარი თუ იქნება ამ სახელის შესაბამისი.

სოხუმის მე-3, მე-7, მე-10, მე-11 საშუალო სკოლებში სუსტადაა დაყენებული კლასგარეშე მუშაობა, სპორტული სექციები უმოქმედობენ.

ხდება ისიც, რომ ადგილებზე ჩადის სხვადასხვა კომისია, რომელიც ინტერესს მხოლოდ ქაღალდების მიმართ იჩენს, გამოცდილი უსაქმურები კი ამ ქაღალდებს იქით მალავენ თავიანთ სიზარმაცეს. შესაძლოა, ვინმემ თქვას, რომ ახლა, ფიზიკური კულტურის სწავლების ახალი სასკოლო პროგრამის შემოღების შემდეგ (როცა მას თანდართული აქვს მასალის განვლის გრაფიკი — ყოველი კლასისთვის ფიზკულტურის ყველა 66 გაკვეთილის განვლის გრაფიკი), ჩვენთან ყველაფერი რიგზეაო.

სცდებით, ძვირფასო მეგობრებო! გასულ სასწავლო წელს ჩვენ ვიყავით ბათუმის, სოხუმის, ხობის, ზუგდიდის, ბორჯომის სკოლებში და დავრწმუნდით, რომ ეს პროგრესული წესი მხოლოდ ქაღალდზე არსებობს. სინამდვილეში, მაგალითად, მძლეოსნობას ხშირად ცვლიან... ფრენბურთით.

რამდენიმე სიტყვა სოფლის სკოლებზე. ცნობილია, რომ მოსწავლეთა XI საკავშირო სპარტაკიადაში (ერევანი) ყოველ 100 მონაწილეზე სოფლებიდან მოდიოდა მხოლოდ 2 სპორტსმენი. ეს, რასაკვირველია, იმას მოწმობს, რომ სოფლის სკოლების მასწავლებლები ვერ ავლენენ ტალანტებს. ამას გარდა, რესპუბლიკის მრავალ რაიონში ფიზკულტურის მასწავლებელთა ნაკლებობას განვიცდით სწორედ სოფლებში. ამ ხარვეზის აღმოსაფხვრელად გაიხსნა სპეციალური „ფიზიკური აღზრდის“ ჯგუფები სოხუმის, ბათუმის, ქუთაისის, გორისა და ცხინვალის პედაგოგიურ ინსტიტუტებში. წლეულს მოხდება ზოგიერთი მათგანის მსმენელთა პირველი გამოშვება, მაგრამ უკვე ვიცით, რომ სოფლად მხოლოდ ერთეულები გაემგზავრებიან და ეს იმიტომ, რომ 356 ასეთი სტუდენტიდან 50 პროცენტი ქალაქელია.

უნდა ითქვას ისიც, რომ ამ სპეციალისტთა მზადების დონე არ იდგა სათანადო სიმაღლეზე. არ ვარგოდა დაგეგმვის საკითხი ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში, სადაც არ გააჩნდათ ცალკეულ სასწავლო დისციპლინებზე სტუდენტთა დასწრების აღრიცხვა, ჟურნალი უხეიროდ იყო გაფორმებული, მეცადინეობაზე სტუდენტთა დასწრება ზოგ შემთხვევაში მხოლოდ 50 პროცენტს უდრიდა.

არადამაკმაყოფილებელია ჩვენს რესპუბლიკაში სასკოლო სპორტული ბაზების მშენებლობის, მათი საჭირო ინვენტარით აღჭურვის საკითხიც.

საქართველოში ბავშვთა 118 სპორტული სკოლაა, სადაც გაერთიანებულია 38 ათასი მოსწავლე. მაგრამ შეიძლება კი ყოველ მათგანს ვუწოდოთ ტალანტების სამჭედლო?

გალის ბავშვთა სპორტსკოლაში 1968-1970 წლებში არ მომზადებულა არც ერთი თანრიგოსანი. რუსთავში რამდენიმეჯერ ჩაიშალა მეცადინეობა სპორტულ ტანვარჯიშში, ჩოგბურთში, თავისუფალ ჭიდაობაში, მხატვრულ ტანვარჯიშში, ხოლო ყაზბეგისა და ლენტეხის სპორტსკოლებში 20 მოჭიდავე ვარჯიშობდა ოთახში, რომლის ფართობი სულ... 20 კვადრატულ მეტრს უდრის.

რა ოსტატობაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა რესპუბლიკის სპორტსკოლების მხოლოდ 60 პროცენტს აქვს სპორტული ბაზები. ზაფხულობით აქ მუშაობა საერთოდ წყდება, ვინაიდან 118-დან მხოლოდ 8 სპორტსკოლას აქვს საკუთარი სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკი.

დაბალ დონეზე დგას ამ სკოლებში მომეცადინეთა მიღების საქმეც. გადის ოქტომბერი და ბევრ სკოლაში მწვრთნელებს ჯერ კიდევ არა ჰყავთ ხოლმე შერჩეული ბავშვები. ასეთი „ძიების“ შემდეგ ჯგუფი ან საერთოდ იშლება, ან ნაკლული შემადგენლობით მეცადინეობს.

კონტროლის გაწევა ბავშვთა სპორტსკოლების მუშაობაზე თითქმის შეუძლებელია, ვინაიდან გარკვეული სასწავლო პროგრამები სწავლების წლების მიხედვით არ არსებობს და მწვრთნელები ანგარიშს აბარებენ რამდენიმე წელიწადში ერთხელ — თანრიგოსანთა გამოშვებით.

სადაა გამოსავალი? შეიძლება, ღირდეს ბავშვთა სპორტსკოლებში, ისევე, როგორც ეს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებშია, მოხდეს ყოველწლიური გადასასვლელი გამოცდები? ასეა თუ ისე, გამოსავალი უნდა გამოინახოს.

ესტონეთში აქცენტი აღებულია ფიზკულტურის გაკვეთილების ყოველდღიურად ჩატარებაზე და იქ არავინ უჩივის „აუტანელ დატვირთვებს“. შეიძლება, ღირდეს ამგვარი ექსპერიმენტის ჩატარება ჩვენი რესპუბლიკის სკოლებშიც? დარწმუნებული ვართ, რომ ეს სარგებლობას მოიტანს და მაშინ ფიზკულტურის ყველა მასწავლებელი იკადრებს პატივი სცეს საკუთარ პროფესიას.

ვ. ბუკინი.

ბედნიერად გაატარეს ზაფხული თბილისის განათლების განყოფილების სპორტული ტანვარჯიშის სპეციალიზებული სკოლის აღსაზრდელმა ჟანა ბიჭიკაშვილმა და ქუთაისის „კოლხეთის“ ნორჩ ფეხბურთელთა გუნდის კაპიტანმა გივი ბაბუნიძემ.

9 წლის ჟ. ბიჭიკაშვილმა (მწვრთნელი — სპორტის ოსტატი რ. პენკოვა) თავი ისახელა საქართველოს მოსწავლეთა სპარტაკიადაში.

ამ სათნო, ვერცხლისწყალივით მოძრავმა გოგონამ დვირზე ვარჯიშში კარგი ტექნიკური მომზადება გამოავლინა, აჯობა მასზე 4-6 წლით უფროს ოცზე მეტ გოგონას და II საპრიზო ადგილი დაიკავა.

გ. ბაბუნიძემ (მწვრთნელი კ. ხურციძე) ჯერ თბილისში გამართულ „ტყავის ბურთის“ პრიზზე ასპარეზობაში გამოიჩინა თავი, სადაც ქუთაისის „კოლხეთი“ საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრიზის ლაურეატი გახდა, გივიმ კი გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ ჯილდო დაიმსახურა.

ბაბუნიძემ დონეცკშიც გვასახელა, სადაც „ტყავის ბურთის“ პრიზის საკავშირო ფინალურ ტურნირში თავის ამხანაგებთან ერთად ვერცხლის მედალი მოიპოვა და ტურნირის საუკეთესო თავდამსხმელის პრიზიც დაისაკუთრა.

დღეს ჟანა და გივი ჩვენი სამშობლოს მილიონობით ბავშვებთან ერთად სკოლის მერხებს მიუსხდებიან, გაკვეთილების შემდეგ კი ეს ხალისიანი ნორჩები ჯანმრთელობის, სილამაზისა და სიმხნევის სამჭედლოს — სპორტულ სექციებს მიაშურებენ.

ი. იუნაევი.

• • •

სურათებზე: ჟ. ბიჭიკაშვილი დვირზე ვარჯიშის დროს; გ. ბაბუნიძე (შუაში) უტევს მეტოქის კარს.

ავტორის ფოტო.

სკოლაში მოსწავლე მოვიდა!

სკოლაში მოსწავლე მოვიდა! მისი მეოცნებე მზერა ხარბად ეძებს სიახლეს. არდადეგებზე ენერგია მოჭარბებულს გული სპორტული სარბიელისკენ მიუწევს. თუ ბაზა მიმზიდველია და კეთილმოწყობილი, კიდევ უფრო მძაფრდება მისი სურვილი. იქ კი, სადაც ფიზკულტურა და სპორტი ჯეროვნად ფასობს, ეს სურვილი არ შეიძლება დიდ სპორტზე ოცნების საწინდარი არ გახდეს.

ქარში საჩუქარი მიიღეს ახალქალაქის 1-ლი საშუალო სკოლის მოსწავლეებმა: მწყობრში ჩადგა ახალი სპორტული დარბაზი, რომელიც რაიონის ჭარბი შემოსავლის ხარჯებით აიგო. განათლების სამინისტრომ სოფელ გოგაშენში 8-წლიანი სკოლის ახალი ნაგებობა დაასრულა სპორტული დარბაზით. ესაა 35-დან პირველი 8-წლიანი სკოლა, რომელსაც რაიონში სპორტული დარბაზი ექნება. გაისიდან სპორტული დარბაზით კიდევ ერთი ასეთი სკოლა ჩადგება მწყობრში სოფელ დადეშში. ბურნაშეთის ახალი საშუალო სკოლა კი, რომელიც კოლმეურნეობის სახსრებით შენდება, რიგით მეხუთე იქნება სპორტდარბაზიან საშუალო სკოლათა სათვალავში (სულ რაიონში 23 საშუალო სკოლაა).

ეს ფაქტები რაიონში სასკოლო სპორტული დარბაზებისადმი ჯეროვანი ყურადღების კარგ საწყისზე მეტყველებენ.

გულგასახარი ზეიმის მოწმე გავხდით ახალციხეში. აქ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის სამსახურში ჩადგა მესხეთში კიდევ ერთი შესანიშნავი სპორტული კომპლექსი, რომლის დარბაზი და მოედნები გასახდელებით, საშხაპეებითა და ყველა დამხმარე სათავსოთია აღჭურვილი. აქვე უნდა აღინიშნოს ტექნიკუმის დირექტორის, სპორტის დიდი მოამაგის ნ. ზეგიშვილის წვლილი ამ კეთილი საქმის ხორცშესხმაში.

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი ახალქალაქშიცაა. უწინ ჩვენ მკაცრად ვწერდით აქაური სპორტული მოედნებისადმი გულგრილობაზე. მართალია, ბაზა მანქანებისა და ზედმეტი „ბარგისგან“ გაუთავისუფლებიათ, მაგრამ კიდევ უფრო გაუფართოებიათ... გარაჟების მშენებლობა. ახლა უფრო მეტი მანქანა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა მიდი-მოდის მოედანზე. ტექნიკუმის დირექტორთან გ. ხოცკინიანთან საუბარმა კი საბოლოოდ დაგვარწმუნა იმაში, რომ იგი ნაკლებ მზრუნველობას იჩენს ფიზკულტურისა და სპორტისადმი. ხოლო თუ რა შეუძლია ხელმძღვანელის პირად თაოსნობას, ახალციხელთა მაგალითითაც კარგად დავინახეთ.

სასწავლო წლის დაწყებამდე ახალციხის საშუალო სკოლებშიც შევიარეთ. გვაინტერესებდა ბაზების მზადყოფნა. 1-ელ სკოლაში (დირექტორი გ. ივანიძე, ფიზკულტურის მასწავლებელი ვ. დორბაროვი) დარბაზი სანიმუშოდ შეუკეთებიათ. შეუძენიათ ახალი ინვენტარი, მაგრამ სკოლის შენობაში შესვლამდე უსიამოვნება განგვაცდევინა ღია მოედნებისადმი უყურადღებობამ. ზამთრიდან მოყოლებული, აქ დღემდეა თავმოყრილი ნახშირის ნამწვავი. კალათბურთის მოედანს მხოლოდ ცალი ფარი „ამშვენებს“. არსად ჩანს მძლეოსნური ბილიკები და სექტორები. გაურკვეველია, სად იწყება და თავდება მოედნის ფარგლები. ვერავითარ მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებს ფრენბურთელთა სარბიელი.

მე-4 საშუალო სკოლას (დირექტორი ფ. ვოიკინი, ფიზკულტურის მასწავლებელი ს. მირაკიანი) არც სპორტული დარბაზი აქვს და არც კეთილმოწყობილი ღია მოედნები. ფიზაღზრდის ახალგაზრდა მასწავლებელმა ი. ლიპარიდიმ შეძლო უწინდელ სანაგვეზე ფრენბურთისა და ხელბურთის ძალზე მარტივი მოედნების მოწყობა, მაგრამ...

— გვიჭირს მუშაობა, როგორი მოედნებიცაა, თავად ხედავთ. არ გვაქვს გასახდელი, დახმარების ნაცვლად კი... ხმები დადის ჩვენს ნაფლარზე ბაზრის გაშენებას აპირებენო, — გულისტკივილით გვითხრა ლიპარიდიმ.

... სკოლაში მოსწავლე მოვიდა! მან სიამაყით შეაბიჯა ლამაზ და ნათელ საკლასო ოთახში, კეთილმოწყობილ სასწავლო კაბინეტებში, ლაბორატორიებში, განიცადა გამოუთქმელი სიამოვნება და მის ოცნებას ახალი სხივი მიემატა.

ხომ არ გავიწყდება, რომ სპორტისადმი სიყვარულიც ასეთივე გზით იწყება?

თ. გაჩეჩილაძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).
ახალქალაქი — ახალციხე.

ჩვენი მოძმე რესპუბლიკები

სპარტაკიადიდან ინსტიტუტში

საბჭოთა კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის პროგრამით მოასპარეზე მოცურავეთა შეჯიბრების მონაწილენი — სპორტის ოსტატები ტ. ობიედკოვა, ვ. ბირიუკინა და გ. შჩებნიკოვი სმოლენსკის ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტები გახდნენ: წარმატებით ჩააბარეს მისაღები გამოცდები. მანამდე კი სამივე კარგად უთავსებდა საშუალო სკოლაში სწავლას „ტრუდის“ საბავშვო სპორტსკოლაში მეცადინეობას.

სპარტაკიადის წელიწადს სმოლენსკის ინსტიტუტის სტუდენტთა ახალ ნაკადში შარშანდელთან შედარებით ერთნახევარჯერ მეტი სპორტის ოსტატი და ოსტატობის კანდიდატია.

სმოლენსკი.

საჯელი მოგვითხრობს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის პირველობა

უმაღლესი ლიგა

სტატისტიკოსის ბლოკნოტში

„ფახთაქორისა" და როსტოვის არმიელთა შეხვედრაში (2:0) ბურთები გაიტანეს ციბინმა და ვარიუხინმა.

მინსკში „არარატის" კარში მასპინძელთაგან ბურთები გაიტანეს საზაროვმა, ვასილიევმა და მალოფეევმა (2, აქედან 1 — პენალტით), ხოლო ერევნელთაგან — ზანაზანიანმა (პენალტით).

I ლიგა

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 1 სექტემბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ლოკომოტივი" (მოსკოვი)	29	18	7	4	48—20	43
„დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი)	29	18	6	5	56—23	42
„ჩერნომორეცი" (ოდესა)	29	16	8	5	40—16	40
„ტექსტილშჩიკი" (ივანოვო)	29	10	12	7	32—25	32
„მეტალისტი" (ხარკოვი)	29	13	5	11	33—29	31
„შახტიორი" (ყარაგანდა)	29	11	9	9	30—26	31
„მეტალურგი" (ზაპოროჟიე)	29	10	10	9	29—25	30
„ტორპედო" (ქუთაისი)	29	10	10	9	37—39	30
„ურალმაში" (სვერდლოვსკი)	29	9	11	9	21—20	29
„კრ. სოვეტოვი" (კუიბიშევი)	29	11	6	12	32—27	28
„პამირი" (დუშანბე)	29	11	6	12	28—31	28
„შინიკი" (იაროსლავლი)	29	11	6	12	28—34	28
„ჟალგირისი" (ვილნიუსი)	29	9	9	11	26—31	27
„დაუგავა" (რიგა)	29	8	10	11	19—25	26
„მოლდოვა" (კიშინიოვი)	30	8	10	12	21—28	26
„კუზბასი" (კემეროვო)	29	9	8	12	27—41	26
„დინამო" (ლენინგრადი)	29	9	7	13	25—30	25
„ალგა" (ფრუნზე)	29	8	9	12	29—35	25
„სპარტაკი" (ორჯონიკიძე)	29	10	5	14	34—45	25
„სტროიტელი" (აშხაბადი)	30	10	4	16	32—47	24
„რუბინი" (ყაზანი)	29	7	8	14	23—36	22
„ვოლგარი" (ასტრახანი)	29	5	12	12	23—40	22

II ლიგა IV ზონა

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 1 სექტემბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„მეტალურგი" (ლიპეცკი)	26	15	8	3	42—14	38
„მეტალურგი" (რუსთავი)	25	14	9	2	42—13	37
„სპარტაკი" (კოსტრომა)	26	10	11	5	38—21	31
„სატურნი" (რიბინსკი)	27	12	5	10	28—30	29
„დინამო" (ბათუმი)	26	7	14	5	21—18	28
„მოტორი" (ვლადიმირი)	26	9	10	7	26—24	28
„ტრუდი" (ვორონეჟი)	26	9	9	8	34—28	27
„ხიმმაშოვეცი" (პენზა)	25	9	8	8	21—19	26
„სპარტაკი" (რიაზანი)	26	9	7	10	22—23	25
„მერცხალი" (მახარაძე)	25	8	10	7	19—24	26
„ხიმიკი" (ნოვომოსკოვსკი)	25	8	8	9	21—25	24
„კოლხეთი" (ფოთი)	25	7	10	8	20—26	24
„სპარტაკი" (სარანსკი)	26	9	6	11	20—26	24
„დილა" (გორი)	26	7	10	9	34—39	24
„მეშახტე" (ტყიბული)	26	9	6	11	31—39	24
„დინამო" (სოხუმი)	26	7	9	10	25—33	23
„დინამო" (ვოლოგდა)	26	8	7	11	16—29	23
„მაშინოსტროიტელი" (პოდ)	26	7	7	12	26—34	21
„დინამო" (კიროვი)	26	5	8	13	21—27	18
„სპარტაკი" (ტამბოვი)	26	5	6	15	14—29	16

შეიარაღებული ძალების პირველობა

გუშინ თბილისსა და ქუთაისში დაიწყო სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების პირველობა ფეხბურთში.

გათამაშებაში მონაწილეობენ ამიერკავკასიის, ჩრდილოეთ კავკასიის, თურქმენეთის, ხაბაროვსკის, ტაშკენტის, ჩიტის, აგრეთვე, პოლონეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ჯარების ჯგუფებისა და სხვა სამხედრო ოლქების გუნდები.

პრეტენდენტთა ნახევარფინალური მატჩები

ალექსანდრია — ლაზარევიჩი 4,5:3,5

ბლადელი, 30 აგვისტო. დღეს აქ მოეწყო ალექსანდრია — ლაზარევიჩის მატჩის წინადღეებში გადადებული VII და VIII პარტიების დამთავრება.

VII პარტიაში ალექსანდრიამ დამაჯერებლად გამოიყენა გამსვლელი პაიკების ძალა. მეფის დახმარებით მან აამოძრავა ისინი და გაიმარჯვა კიდეც.

VIII პარტია ლაზარევიჩის აშკარა უპირატესობით იყო გადადებული. იუგოსლაველმა მოჭადრაკემ ზუსტი თამაშით შეხვედრა გამარჯვებამდე მიიყვანა.

სათამაშო დარჩა ორი შეხვედრა. IX პარტია შედგება 1 სექტემბერს, X — 3-ში. მატჩში გამარჯვებისთვის ალექსანდრიას ქულა სჭირდება.

• • •

გთავაზობთ ორივე პარტიის დამთავრებას (სვლები მოგვაწოდა საქართველოს რადიოს უკანასკნელ ცნობათა მთავარმა რედაქციამ).

ალექსანდრია



ლაზარევიჩი

42. ... კe4 43. ეb7 f3 44. ეb1 კ:c2 45. ეe1 კd3 46. კg3+ კe2 47. მფb2 მფ:f6 48. მფc3 ეe3+ 49. მფc2 ეe4 50. კf2 მფf5 51. მფc3 ეg4 52. მფd2 ეg2 53. მფe3 g4 54. ეg1 ე:g1 55. კ:g1 g3 56. d5 cd 57. cd მფg4 58. მფd2 მფh3. თეთრები დანებდნენ.

ლაზარევიჩი



ალექსანდრია

43. ... ე:b2 44. e5 ეe2 45. f6 c3 46. ეc8+ მფf7 47. ეc7+ მფe8 48. ეc8+ მფd7 49. f7 ეf2 50. ე:c3 ე:f7 51. ეa3 ეe7 52. ე:a6 ეe6 53. ეa7+ მფc6 54. მფg2 ე:e5 55. ეa6+ მფc5 56. ე:h6 ეf5. თეთრები დანებდნენ.

კუშნირი — ზატულოვსკაია 4,5:2,5

მინსკი, 30 აგვისტო. დღეს შედგა ამ მატჩის VII პარტიის დამთავრება, რომელიც კუშნირის უპირატესობით იყო გადადებული. გაიმარჯვა მოსკოველმა მოჭადრაკემ.

დარჩენილ სამ შეხვედრაში კუშნირს მატჩის მოგებისთვის ქულა ჰყოფნის.

თქვენ როგორ ამოხსენით?

„ლელოს" 5 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნებული გ. კაკაბაძის (თბილისი) სამსვლიანი ამოცანის ამოხსნაა: 1. ლg3. 1. ... მფ:e4 2. ლf2; 1. ... de 2. მf6.

სწორი ამოხსნა გამოგზავნა ა. ქუხილავამ (წალენჯიხის რაიონი, დ. ჯვარი).

• • •

„ლელოს" 12 აგვისტოს ნომერში დაიბეჭდა წერილი „აღიარება არგენტინაში", რომელშიც ცნობილი თბილისელი ეტიუდისტის გ. კალანდაძის წარმატებაზე იყო საუბარი. წერილში მოყვანილი დაჯილდოებული ეტიუდი ასე იხსნება (შეგახსენებთ ეტიუდის საწყის პოზიციას):

თეთრები: მფg1, ეa8, მa6, მd1;

შავები: მფe1, ეd6, მa7, მd7.

თეთრები ყაიმს აღწევენ

1. მb4 a1ლ 2. მc2+ მფe2 3. მ:a1 ე:d1+ 4. მფg2 ე:a1 5. ეe8+ მფd1

მხოლოდ ასე, სხვა შემთხვევაში შავები e7 მხედარს წააგებდნენ.

6. ეd8 ეa7+ 7. მფf1! ეd2

თითქოს თეთრების ბედი გადაწყვეტილია, მაგრამ...

8. ეa8 ეa2

იძულებითია, რადგან 8. ... მb5 9. ეa1+ მფc2 10. ეa2+ მფc3 11. ე:d2 მფ:d2 ყაიმია. მხედრის დათმობის შემთხვევაშიც ყაიმია, ვინაიდან ეტლი და მხედარი ეტლის წინააღმდეგ მხოლოდ განსაკუთრებულ პოზიციებში იგებენ. ამიტომ სვლების გამეორებით ბრძოლა ეგრეთ წოდებული პოზიციური ყაიმით მთავრდება.

9. ეd8 ეd2 10. ეa8 ეa2 და ა. შ.

მართლაც, შესანიშნავი ეტიუდია.

ვუბრუნდებით ნაბეჭდილს

სპორტული გმირობა

„ლელოს" წინა ნომერში ვიტყობინებოდით, რომ ბელგრადში გაიმართა ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობაში IX მსოფლიო ჩემპიონატი. ტურნირში 27 ქვეყნის ნაკრები კოლექტივები გამოდიოდნენ. სსრ კავშირის სპორტსმენებმა ამ შეჯიბრებაში გუნდური გამარჯვება დაისაკუთრეს. იმასაც ვწერდით, რომ ლენინგრადელმა ლ. პინაევამ ოქროს 2 მედალი მოიხვეჭა.

საბჭოთა ნიჩბოსნების ამ ბრწყინვალე გამარჯვებაში ქვეყნის ნაკრების სხვა წევრებმაც დიდი წვლილი შეიტანეს: კვარტეტმა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ კიეველები ი. სტეცენკო, ვ. მოროზოვი, ი. ფილატოვი და მოსკოველი ვ. დიდენკო 1000 მეტრზე ბაიდარებით შეჯიბრებაში მსოფლიო ჩემპიონობა შეინარჩუნეს.

ერთადგილიანი ბაიდარებით 500 მეტრზე რბოლაში ბადალი არ ჰყავდა 23 წლის მინსკელ სტუდენტს ნ. ხოხოლს, 32 წლის იაროსლაველმა ვ. ცარიოვმა კი უძლიერესის წოდება 10 კილომეტრზე ასპარეზობაში მოიხვეჭა.

ამ ჩემპიონატში სპორტული მამაცობისთვის სპეციალური ჯილდო რომ ყოფილიყო დაწესებული, მას საბჭოთა დუეტი (ბარნაულელი ჰ. კოსტენკო და ვლადივოსტოკელი ვ. კონონოვი) დაისაკუთრებდა: ორადგილიანი ბაიდარებით 10000 მეტრზე რბოლაში ფინიშამდე 500 მეტრი იყო დარჩენილი, როცა ერთ მათგანს ნიჩაბი გაუტყდა. სხვა ამ შემთხვევაში რბოლას გამოეთიშებოდა, კოსტენკომ და კონონოვმა კი მთელი ძალ-ღონე მოიკრიბეს და დისტანციის დამთავრება კი არა, ოქროს მედლების დასაკუთრება შეძლეს.

არც ორადგილიანი კანოეებით მოასპარეზენი, ოლიმპიადის პრიზიორი ნ. პროკუპეცი და ა. ვინოგრადოვი დარჩნენ ვალში: 10 კილომეტრზე რბოლის ფინიშთან პირველნი მიიჭრნენ.

ჩემპიონატის სენსაცია გახლდათ ერთადგილიანი ბაიდარებით 1000 მეტრზე რბოლაში მსოფლიოსა და ოლიმპიადის ჩემპიონის ა. შაპარენკოს მარცხი. თავდაპირველად მას შვედი დურგალი გ. ანდერსონი ეტოქებოდა, მაგრამ ფინიშამდე 75 მეტრი რომ დარჩა, ყველასთვის მოულოდნელად მძლავრი ბიძგით წინ გაიჭრა გდანსკის უნივერსიტეტის სტუდენტი გ. სლეძიევსკი (პოლონეთი) და ოქროც მას დარჩა. შაპარენკო ბრინჯაოს მედალს დასჯერდა.

საბჭოთა კავშირის გუნდის ნადავლს ვერცხლი შემატეს დუშანბელმა კანოისტებმა მ. ლობანოვმა და ვ. პანკოვმა ორადგილიანებით რბოლაში, აგრეთვე, ხარკოველმა ვ. იურჩენკომ, რომელიც ერთადგილიანი კანოეთი იბრძოდა.

4X500 მეტრზე ბაიდარებით ესტაფეტაში, ოთხადგილიანი ბაიდარებით 10 კილომეტრზე რბოლაში, ერთადგილიანი კანოეებით 1000 მეტრზე შეჯიბრებაში, აგრეთვე, მებაიდარე ვაჟთა და ქალთა დუეტების 500 მეტრზე ასპარეზობაში საბჭოთა ნიჩბოსნებმა ბრინჯაო მოიპოვეს.

სურათზე: ვ. ცარიოვი ასპარეზობისას.

თასი შეინარჩუნეს

ბრატისლავაში დამთავრდა მოცურავე ქალთა ევროპული თასის გათამაშება. სსრ კავშირის სპორტსმენებმა თავიანთ შესაძლებლობაზე უარესად იასპარეზეს: ორი დღის მანძილზე მათ მხოლოდ 95 ქულა მოაგროვეს და III ადგილს დასჯერდნენ. ისინი ჰოლანდიელებს 6 ქულით ჩამორჩნენ. თასი კი 119 ქულით გდრ-ის მოცურავეებმა შეინარჩუნეს.

სსრ კავშირის მოცურავეებმა შეჯიბრების პროგრამის 14 სახეობიდან მხოლოდ 3 მოიგეს, მათგან ორი გამარჯვება ტოკიოს ოლიმპიადის ჩემპიონის გ. სტეპანოვას წილად მოდის (ბრასით: 100 მ — 1.16,0, 200 მ — 2.41,2).

ნ. პეტროვამ საკავშირო რეკორდით მოიგო 400 მეტრზე კომპლექსური ცურვა — 5.14,2.

სსრ კავშირის რეკორდი გაუმჯობესდა 4X100 მეტრზე თავისუფალი სტილით ესტაფეტაშიც — 4.08,5, აქ I ადგილი ხვდათ გდრ-ის სპორტსმენებს — 4.01,3 (გდრ-ის რეკორდი).

კვლავ ისახელა თავი უნგრელმა ა. დაარმატიმ, რომელმაც 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში თავისივე ევროპული რეკორდი (1.04,5) გაიმეორა.

ახალი ამბები-71

● უჟგოროდი, 30 აგვისტო. საკავშირო ჩემპიონატში მოასპარეზე ლატვიელმა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა რ. რემეტნიქსმა, იჟევსკის მანქანათმშენებელი ქარხნის სპორტსმენებმა ს. ჩირცოვმა და გ. ჩაშჩიპოვმა ასეთი თანმიმდევრობით გაინაწილეს საპრიზო ადგილები „350-ანების" სამოტოციკლო მრავალჭიდში. ოთხი წლის წინათ ამიერკარპატეთის ამავე ტრასებზე მათ ასეთივე თანმიმდევრობით ჰქონდათ ფინიში. დანარჩენ კლასებში ჩემპიონები გახდნენ: მოსკოველი გ. პილაევი (250 კბ სმ), კიეველები ე. კოროლიოვი (175) და გ. ქლანოვი (125). ეტლიანი მოტოციკლებით ასპარეზობაში გაიმარჯვეს კიეველებმა ა. ივანჩენკომ და ა. ბალაშოვმა. იუნიორთა შორის „175-ანებში" საუკეთესო იყო ესტონელი მ. მიაგარი. გუნდურ ჩათვლაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: მოსკოვი, ლატვია, რსფსრ.

● **ბუდაპეშტი, 30 აგვისტო.** სოციალისტური ქვეყნების მოზარდთა საერთაშორისო ტრადიციული შეჯიბრების პრიზს — „მეგობრობის თასს" უნგრეთის დედაქალაქიდან შინ საბჭოთა წყალში მხტომელები წაიღებენ. ჭაბუკებში ტრამპლინიდან ხტომა მოიგო ალმაათელმა ს. სანჯეევმა (389,80 ქულა), ხოლო კოშკიდან ხტომა — ერევნელმა ს. ამბარცუმიანმა (405,23). გოგონათა შორის ორივე იარაღზე გაიმარჯვა გდრ-ის წარმომადგენელმა გოლიბერცუმ. მოცურავეთა შეჯიბრებაში საბჭოთა სპორტსმენებმა ოქროსა და ვერცხლის 8-8, აგრეთვე, ბრინჯაოს 3 მედალი მოიპოვეს. საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე სამჯერ ავიდნენ დონეცკელი ირა უსტიმენკო და ხარკოველი ნ. პოპოვა.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

ამხანაგურს არაფრით ჰგავდა...

ინგლისის ჩემპიონმა „არსენალმა" ამხანაგური მატჩების მთელი სერია დაგეგმა, მათ შორის, ორი შეხვედრა — ლისაბონის „ბენფიკასთან".

ლისაბონში გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 2:0. მომდევნო მატჩი ლონდონში ძალიან უხეშად მიმდინარეობდა და ამხანაგურს არაფრით ჰგავდა. ფეხბურთელები გაუთავებლად ეჩხუბებოდნენ ერთმანეთს, ედავებოდნენ მსაჯს. მეოთხე გოლმა „ბენფიკის" კარში (მატჩი მოიგო „არსენალმა" — 6:2) დიდი დავა გამოიწვია. საქმე იქამდე მივიდა, რომ მსაჯმა მატჩის შემდეგ სპეციალური წერილი გაუგზავნა უეფა-ს და პორტუგალიელთა მთელი გუნდის დასჯა მოითხოვა.

სასჯელს, ეტყობა, მხოლოდ ეუსებიო გადაურჩება, თითქოს გული უგრძნობდაო, მწვრთნელმა იგი სხვა მოთამაშით შეცვალა აყალმაყალის ატეხამდე რამდენიმე წუთით ადრე.

ფრანგები — ჩვენი მეტოქეები

როგორც ცნობილია, მომავალი მსოფლიო პირველობის IX ევროპულ შესარჩევ ჯგუფში საბჭოთა ფეხბურთელების მთავარი მეტოქე საფრანგეთის ნაკრები იქნება. საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელმა ჟ. ბულონმა საწვრთნელ შეკრებაზე მოუხმო უძლიერეს ფეხბურთელებს.

აი, ვინ არიან შეკრებაზე: **მეკარეები** — კარნიუ, ობური, ბატმანი; **დაცვა** — ჯორკეფი, როსტანი, ნოვი, ბოსკიე, ლომერი, კამერონი; **ნახევარდაცვა** — მიშელი, მეზი, იუკი, ბროსიერი; **თავდასხმა** — ლეში, რეველი, ლუბე, ბერეტა, ლარკე, შიეზა, ფლომი, მოლიტორი და სხვ.

გულშემატკივარიც ამას ჰქვია!

ლონდონის კლუბ „ქუინს პარკ რეინჯერსს" ერთი ფრიად ფანატიკური გულშემატკივარი ჰყავს. ესაა ქალბატონი ნორმა პინტი. იგი, თუ შეიძლება ასე ითქვას, გუნდის ინტერესებით ცოცხლობს, ღრმად განიცდის მის წარუმატებლობას, რაც ძალიან ხშირია „ქუინს პარკ რეინჯერსის" გამოსვლებში.

თავისთავად ცხადია, ქ-ნი პინტი ესწრება გუნდის ყველა მატჩს, ეს კი იოლი ამბავი არ გეგონოთ: პინტი ცხოვრობს ლანკასტერში, რომელიც ინგლისის დედაქალაქს 750 კილომეტრითაა დაშორებული.

ბელგია — ფეხბურთის „ელდორადო"

ბელგია ნამდვილი „ელდორადოა" უცხოელ ფეხბურთელთათვის, — ასე ფიქრობენ ფეხბურთის მიმომხილველები. მართლაც, ვინ არ თამაშობს აქ: ფრანგები, გერმანელები, ავსტრიელები, ჰოლანდიელები, იუგოსლაველები...

სწორედ უცხოელი ფეხბურთელების დიდი რაოდენობით აიხსნება ბელგიის კლუბების „ანდერლეხტისა" (ბრიუსელი) და „სტანდარდის" (ლიეჟი) თვალსაჩინო საერთაშორისო წარმატებები.

„მოთამაშეებსაც საზღვარი აქვს"

ასე ეწოდება ბუდაპეშტის „ნეპშპორტში" გამოქვეყნებულ წერილს. ამ სარედაქციო სტატიაში ლაპარაკია იმაზე, რომ რეჟიმის ხშირი დარღვევისთვის ბოლოს და ბოლოს მკაცრად დაისაჯა ბევრი ცნობილი ფეხბურთელი: ლ. კოჩიში გამოყვანილია ნაკრებიდან, ფარკაში დისკვალიფიცირებულია 5 თამაშით ეროვნულ ჩემპიონატში, „ჩეპელს" რეკომენდაცია მიეცა თურქეთში გასტროლებზე არ წაიყვანოს მოლნარი, ჰუნიადი, კალმარი, კანდი და ლანჩკორი.

ბერლინის 1936 წლის ოლიმპიური თამაშების ოთხგზის ჩემპიონი ჯ. ოუენსი ყველაზე პოპულარული უცხოელი სპორტსმენია როგორც გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ისე დასავლეთ გერმანიაში. იგი აქ გამართული დიდი ოლიმპიური კვირეულის ყურადღების ცენტრში იყო. ერთ საღამოს ოუენსი სატელევიზიო გადაცემაში ოსტატურად დირიჟორობდა მაქს გრეგერის საესტრადო ორკესტრს.

ობიექტივში მსოფლიო

მიუნხენის მომავალი ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტი ვ. დაუმე კომიტეტის ფონდში ეროვნული ოლიმპიური ლატარიით შემოსულ მილიონებს ეზიდება.

მხიარული სპორტსმენების კლუბი

ეს უჩვეულო კლუბი ელეცის ქარხანა „გიდროპრივოდში" შეიქმნა. იგი სულ ახლახან ჩამოყალიბდა და უკვე პოპულარული გახდა ლიპეცკის ოლქის სიდიდით მეორე სამრეწველო ქალაქ ელეცის ფიზკულტურელთა შორის.

„გიდროპრივოდის" ფიზკულტურული კოლექტივის ხელმძღვანელმა ნ. ზუევმა როგორღაც თავისებური სპორტული „მხიარულთა და საზრიანთა კლუბი" ჩამოაყალიბა. თავი მოიყარეს ყველა საამქროს წარმომადგენლებმა. გამოგონებასა და საზრიანობაში შეჯიბრების მონაწილეებს სულ მალე მაყურებლებიც შეუერთდნენ. სწორედ მაშინ გადაწყდა მხიარულ სპორტსმენთა კლუბის დაარსება.

ახლა კლუბში სავარჯიშოდ და საასპარეზოდ საწარმოს ბევრი მუშა-მოსამსახური მოდის. კლუბის წევრთა შეჯიბრებათა პროგრამაში უმთავრესად პოპულარულ ეროვნულ თამაშებს ვხვდებით: ოჩოფეხებზე სიარულს, ბაგირის გადაძალვას, ოთურმას და სხვ.

მ. გოლაჩოვი.

ელეცი.

ახალი ამბები-71

● **დონის როსტოვი**, 30 აგვისტო. საშვეულმფრენო სპორტში აქ გამართულ საკავშირო პირველობაში ქვეყნის აბსოლუტური ჩემპიონის წოდება იეევსკელმა სპორტის ოსტატმა ა. მოზეერინმა მოიპოვა. მან საუცხოოდ იასპარეზა მრავალჭიდის ყველა სახეობაში. შეჯიბრების ექვსმა მონაწილემ პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი.

● **სალერნო**, 30 აგვისტო. იტალიის ამ ქალაქში გაიმართა მასპინძელი ქვეყნის, ესპანეთისა და ბულგარეთის მძლეოსანთა ნაკრები გუნდების მატჩი. ა. მინეამ 100 მ 10,2 წამში გაირბინა.

● **გეტებორგი**, 30 აგვისტო. შვეციისა და ფინეთის მძლეოსანთა ნაკრები გუნდების მატჩში მოასპარეზე ფინელმა პ. კაჰმამ დაამარცხა ბადროს ტყორცნაში ევროპის რეკორდსმენი რ. ბრუხი (შვეცია): ფინელის შედეგია 61,44 მ, ხოლო შვეციელისა — 60,98 მ. მასპინძელმა ჰ. ლაგერკვისტმა ყველას აჯობა ჭოკით ხტომაში — 525 სმ.

● **ლონდონი**, 30 აგვისტო. ინგლისისა და გფრ-ის მძლეოსანთა მატჩში დიდი ინტერესი გამოიწვია სიგრძეზე მხტომელ ქალთა შეჯიბრებამ. მსოფლიო რეკორდსმენი ჰ. როზენდალი 663 სანტიმეტრზე გადახტა, მაგრამ სანტიმეტრით ჩამორჩა მეხიკოს ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორს, მასპინძელ შ. შერვუდს. ინგლისელმა ბ. ინკპენმა გაიმარჯვა სიმაღლეზე ხტომაში (183 სმ), ხოლო ი. ბოდინგმა (გფრ) — 400 მეტრზე რბენაში — 53,2 წამი.

● **ესენი**, 30 აგვისტო. ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორმა, მსოფლიოს ექს-რეკორდსმენმა ლ. ვესტერმანმა (გფრ) 63 მეტრზე ტყორცნა ბადრო. ეს შედეგი მეორეა წლეულს მსოფლიოში.

● **ტურკუ**, 30 აგვისტო. 23 წლის ფინელმა მძლეოსანმა ჰ. სიიტონენანმა 88,42 მეტრზე ტყორცნა შუბი.

● **ჩეჩინა**, 30 აგვისტო. იტალიის ამ ქალაქში სსრ კავშირის ფრენბურთელ ქალთა ახალგაზრდულმა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის ფინალური ტურნირის პირველი მატჩი მოუგო პოლონელებს — 3:1 (წინასწარ თამაშებში საბჭოთა სპორტსმენებმა დაამარცხეს ბულგარეთის, ჩეხოსლოვაკიისა და რუმინეთის გუნდები). მეორე ფინალურ მატჩში რუმინელებმა ანგარიშით 3:0 სძლიეს გდრ-ის წარმომადგენლებს.

● **ბუქარესტი**, 30 აგვისტო. კუბის კალათბურთელ ჭაბუკთა ნაკრებმა დაუმარცხებლად ჩაატარა ამხანაგური ტურნირი, რომელშიც 8 სოციალისტური ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. II ადგილი დაიკავა საბჭოთა ნაკრებმა (ერთი წაგება). ტურნირის ყველაზე შედეგიანი მოთამაშეები აღმოჩნდნენ ა. ხარჩენკოვი (მოსკოვის „დინამო") და მ. ტიკსი (ტარტუს „კალევი").

● **გალიფაქსი** (ინგლისი), 30 აგვისტო. ინგლისისა და სსრ კავშირის სპიდვეისტთა აქ გამართულ მატჩში თავი გამოიჩინა ბალაკოვოელმა მრბოლელმა გ. მირონოვმა: მან 6 სერიიდან 5 მოიგო. ახლა ანგარიში მატჩისა, რომელიც სერიების ხუთი ციკლისგან შედგება (ეს ციკლები ინგლისის სხვადასხვა ქალაქში მოეწყო), 2:1 გახდა მასპინძელთა სასარგებლოდ (ერთი ციკლი ფრედ დამთავრდა, რაც ქულების სათვალავში არ შედის). ბოლო, გადამწყვეტი „რაუნდი" კოვენტრიში გაიმართება.

● **პრაღა**, 30 აგვისტო. ჩეხოსლოვაკიის ფრენბურთელ ვაჟთა ნაკრებმა ამხანაგური მატჩი მოუგო ევროპაში სტუმრად მყოფ იაპონიის გუნდს — 3:2 (15:9, 15:13, 12:15, 8:15, 15:7).

ტრეკზე ისევ წვიმს

ვარესე, 31 აგვისტო. ძლიერი წვიმა ისევ ჩაერია მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეთა დავაში: გადაიდო ტანდემისტთა ნახევარფინალური ასპარეზობის გადამწყვეტი სერია. ერთმანეთს ხვდებოდნენ საბჭოთა (ოდესელი ვ. სემენეცი და ხარკოველი ი. ცელოვალნიკოვი) და გფრ-ის (მსოფლიო ჩემპიონები ი. ბარტი და რ. მიულერი) დუეტები. პირველი სერია მოიგეს გერმანელმა ველოსიპედისტებმა, რომლებმაც უკანასკნელი 200 მეტრი 10,71 წამში დაფარეს. მეორე სერიაში საბჭოთა მრბოლელებმა რევანში აიღეს (10,52 წამი). და აი, როცა მესამე სერიას მიეცა სტარტი, გაწვიმდა და, ცხადია, შეჯიბრება შეწყდა.

მეორე ნახევარფინალში მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორებმა ი. გიოშკემ და ვ. ოტომ (გდრ) შეძლეს ძლიერი ფრანგული დუეტის (დ. მორელონი — პ. ტრანტენი) ორჯერ დამარცხება (შესაბამისად — 11,01 და 10,49).

ავდრის გამო გადაიდო გამოდევნებით გუნდური რბოლის ოსტატთა ნახევარფინალებიც.

და აი, როგორც იქნა, შეჯიბრებები განახლდა. სტარტზე არიან სემენეცი — ცელოვალნიკოვი და ბარტი — მიულერი. საბჭოთა დუეტი დამარცხდა, მერე კი მან სამიდან ორი სერია წააგო მორელონთან და ტრანტენთან, რომლებმაც III ადგილი დაიკავეს.

ოქროს ჯილდო გიოშკესა და ოტოს ხვდათ, რომლებმაც გადამწყვეტ სერიაში აჯობეს ბარტსა და მიულერს.

გამოდევნებით გუნდურ რბოლაში ვ. ბიკოვმა, ვ. კუზნეცოვმა, ვ. ნაზარენკომ და ა. სტეპანენკომ ინგლისის ნაკრებს სძლიეს და ნახევარფინალში გავიდნენ. საბჭოთა გუნდი, რომელმაც დღის მეორე შედეგი (4.29,51) აჩვენა, ახლა გდრ-ის გუნდს (4.28,02) შეხვდება. მეორე ნახევარფინალში ისპარეზებენ იტალიელები (4.26,99) და გფრ-ის ველოსიპედისტები (4.32,13).

ველოსპორტი

[illegible]
[illegible] ... 19^{45}

◆ **ჩეჩინა**, 31 აგვისტო. სსრ კავშირის კალათბურთელ ქალთა ახალგაზრდულმა ნაკრებმა ზედიზედ მესამედ დაიმსახურა ევროპის ჩემპიონის წოდება: იტალიის ამ ქალაქში დამთავრებულ შეჯიბრებაში მან ყველა მეტოქეს სძლია, როგორც წინასწარ, ისე ფინალურ თამაშებში.

◆ **პრაღა**, 31 აგვისტო. იაპონიის ფრენბურთელ ვაჟთა ნაკრებმა თავისი ევროპული ტურნეს ბოლო მატჩიც აქ გამართა. იგი მეორედ შეხვდა ჩეხოსლოვაკიის ეროვნულ გუნდს და ამჯერად გაიმარჯვა — 3:1 (15:8, 14:16, 15:7, 15:11).

საკდესი მოგვითხრობს

ჩვენი [illegible] კორესპონდენტები

ყველაზე ჩრდილოელი სპორტსმენები

ნორდენშელდის ყინვარზე 29 აგვისტოს გაიმართა დედამიწის ზურგზე ყველაზე ჩრდილოეთით მდებარე საბადო პირამიდის ჰოკეისტთა მატჩი. იგი თავისებურ აკომპანემენტში მიმდინარეობდა — აისბერგების გრუხუნში.

პირამიდა 79-ე პარალელზე მდებარეობს. საბჭოთა მეშახტეები აქ გატაცებით მეცადინეობენ ფეხბურთის, ფრენბურთის, მაგიდის ჩოგბურთის, ჭიდაობის, ძალოსნობის, ცურვისა და ჰოკეის სექციებში.

მურმანსკი.

„ავტომობილისტი" ავტომობილისტებისთვის

ტაჯიკეთის დედაქალაქში დაიწყო „ავტომობილისტის" სტადიონის მშენებლობა. მისი ბატონ-პატრონნი რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს ავტომეურნეობათა შოფრები იქნებიან.

დუშანბე.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, თბილისი 1, № 14. უე 03051